HAL open science

Cylindrical Seals from the “Iranian Collection” (According to the Glyptic Material of the S. Janashia State Museum of Georgia)

Helen Giunashvili, Ketevan Ramishvili

To cite this version:

Helen Giunashvili, Ketevan Ramishvili. Cylindrical Seals from the “Iranian Collection” (According to the Glyptic Material of the S. Janashia State Museum of Georgia). Amirani, 2025, 41, pp.58-98. ⟨hal-05528349⟩

HAL Id: hal-05528349

https://hal.science/hal-05528349v1

Submitted on 26 Feb 2026

HAL is a multi-disciplinary open access archive for the deposit and dissemination of scientific research documents, whether they are published or not. The documents may come from teaching and research institutions in France or abroad, or from public or private research centers.

L’archive ouverte pluridisciplinaire **HAL**, est destinée au dépôt et à la diffusion de documents scientifiques de niveau recherche, publiés ou non, émanant des établissements d’enseignement et de recherche français ou étrangers, des laboratoires publics ou privés.

Distributed under a Creative Commons CC BY-NC-SA 4.0 - Attribution - Non-commercial use - ShareAlike - International License

ᲒᲚᲘᲞᲢᲘᲙᲐ ◆ Glyptic ◆ Глиптика

ქეთევან რ. რამიშვილი, ელენე გიუნაშვილი

ᲪᲘᲚᲘᲜᲓᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲓᲐᲕᲔᲑᲘ Ე. Წ. „ᲘᲠᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲓᲐᲜ“

(საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის
გლიპტიკური მასალების მიხედვით)

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში სხვადასხვა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალას შორის დაცულია საბეჭდავების ძალზე მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც ე. წ. „ირანული კოლექციის“ სახელითაა ცნობილი. ამ კოლექციას აქვს მეტად საინტერესო ისტორია, რომელიც მიამბო ჩემმა უფროსმა კოლეგამ და მასწავლებელმა, ცნობილმა ქართველმა გლიპტიკოსმა ქალბატონმა ქეთევან ჯავახიშვილმა. კოლექცია თურმე ეკუთვნოდა ერთერთ გერმანელ დიპლომატს, რომელიც ირანში იყო ელჩად 1939-41 წწ-ში. ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ ელჩის ვინაობა და სავარაუდოდ ეს იყო ერვინ ეტტელი (Erwin Ettel), (1895-1971). მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარი თეირანში შევიდა, ელჩი გერმანიაში გაქცეულა და საკუთარი კოლექცია თეირანში დაუტოვებია. საბჭოთა ჯარმა გერმანელი დიპლომატის კერძო კოლექცია საქართველოში ჩამოიტანა და (ლავრენტი ბერიას ბრძანებით) გადასცა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმს, სადაც ნივთები დანიშნულებისამებრ გადანაწილდა სხვადასხვა ფონდში. 250-ამდე სხვადასხვა ფორმისა და შემკულობის გლიპტიკური ნივთი – საბეჭდავი კი გადაეცა ეთნოგრაფიის ფონდს, საიდანაც 1945 წელს, მაშინვე, როგორც კი შეიქმნა გლიპტიკის ფონდი, კოლექცია გადაეცა გლიპტიკის ფონდს. კოლექცია როგორც აღვნიშნეთ, სულ აერთიანებს 250-ამდე სხვადასხვა ფორმისა და შემკულობის საბეჭდავს, რომელთა სრული შესწავლა მომავალში გვაქვს განზრახული. წინამდებარე ნაშრომი კი შეეხება 74 ცილინდრულ საბეჭდავს, რომლებიც ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ცილინდრული საბეჭდავი – ეს არის სხვადასხვა, ნახევრადძვირფასი ჯიშის ქვისგან გამოთლილი არც თუ დიდი ზომის ცილინდრული ფორმის ნივთი, მთელ სიგრძეზე ნახვრეტით სახელურისთვის ან ზონრისთვის. ცილინდრული საბეჭდავი გამოიყენებოდა ძველ აღმოსავლურ სამყაროში როგორც დოკუმენტის ავტორის ან მოწმის პირადობის დამადასტურებელი ხელმოწერა. ცილინდრის გვერდითა ზედაპირზე (ტრუცილი) ამოკვეთილი იყო უნიკალური, როგორ წესი, რელიგიური ხასიათის სიუჟეტები.

ყველაზე ფართო გავრცელება ცილინდრულმა საბეჭდავებმა ჰპოვა მესოპოტამიაში, სადაც დაწყებული შუმერული ეპოქიდან, ასეთი საბეჭდავი წარმოადგენდა პიროვნებისთვის ძალიან მნიშვნელოვან და მუდმივად თან სატარებელ ატრიბუტს. ცილინდრული საბეჭდავები ჩვეულებრივ მზადდებოდა სპეციალურად დახელოვნებული ოსტატების მიერ ძალიან მკვრივი ქვებისგან. ცნობილია ამეთვისტოს, ჰემატიტის, ტალკოქლორიტის, კირქვის, ობსიდიანის, ნეფრიტის, სარდიონის, ქალცედონისა და სხვა ბუნებრივი მინერალებისგან დამზადებული ცილინდრული საბეჭდავები. ყველაზე პრესტიჟული მასალა ცილინდრულ საბეჭდავთა დასამზადებლად მესოპოტამიაში უბრალო მოქალაქეებისთვის ითვლებოდა ლაჟვარდი, ხოლო მეფეთა საბეჭდავები შესაძლოა დამზადებული ყოფილიყო ნახევრად ძვირფასი ქვებისგან. ეგვიპტეში კი, გარდა ჩამოთვლილი ქვებისგან, საბეჭდავები კეთდებოდა ასევე მინისგან და ფაიანსისგან [Klengel-Brandt E. 1997:1-24].

ცილინდრული საბეჭდავების უმრავლესობა მზადდებოდა ისე, რომ რბილ მასალაზე (მაგ. სველ თიხაზე) გადატარებისას გამოდიოდა ამობურცული გამოსახულება, რადგან ნახატი და ორნამენტი თვით საბეჭდავთა ზედაპირზე ჩაჭრილი იყო ფონიდან ქვემოთ. თუმცა, ზოგიერთი ცილინდრული საბეჭდავი, რომლებიც განკუთვნილი იყო სხვადასხვა მასალის წერილობითი დოკუმენტის ხელმოსაწერად, მზადდებოდა ამობურცული ნახატით და გამოიყენებოდა, მაგალითად, პერგამენტის ან პაპირუსის დოკუმენტზე საღებავის დასადებად.

ცილინდრული საბეჭდავები აღმოჩენილია სხვადასხვა რეგიონში: მესოპოტამიაში (განეკუთვნება შუმერულ, აქადურ და ბაბილონურ პერიოდებს), ჩრდილოეთ კავკასიაში (მაიკოპის კულტურა), ძველ ეგვიპტეში, კრეტაზე (მინოსური კულტურა), ანატოლიაში (განეკუთვნება ხეთურ სამეფოს, მითანს [სამსონია ნ. 2016] და ურარტუს), ირანში (მიეკუთვნება ელამის სამეფოს და აქემენიდებს).

ცილინდრულ საბეჭდავთა უმრავლესობა აღმოჩენილია სწორედ მესოპოტამიაში. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ იმ დროს მესოპოტამიაში სველი თიხის ზედაპირი ფართოდ გამოიყენებოდა როგორც დასაწერი არე, რაც ყველაზე მეტად მორგებული იყო ცილინდრული საბეჭდავების გამოყენებისთვის [Wiseman D.J. 1958: 7-9].

ცილინდრულ საბეჭდავთა ანაბეჭდები აღმოჩენილია სხვადასხვა ზედაპირზე, უპირატესად თიხის ფირფიტებზე, ასევე ტანსაცმელზე, ავგაროზებზე და სხვა საწერ მასალაზე. ხშირად ცილინდრული საბეჭდავები გადატარებული იყო თიხის ნაჭრე-

ბზე, რომლებითაც დაბეჭდილი იყო მაგალითად, სასურსათე საწყობებისა და მარაგების კარი, ჭურჭელი და სხვა, ვითარცა მათი ხელშეუხებლობის დასტური. ზოგჯერ ცილინდრულ საბეჭდავებს ჰქონდა ძალიან ფართო გავრცელება, ზოგჯერ კი გამოიყენებოდა მხოლოდ მეფეთა მიერ ან მეფესთან დაახლოვებულ პირთა და მეფის გადამწერთა (მწერალთა) მიერ. ძალიან საინტერესო ფაქტია, რომ აქადელთა მეფე რიმუში (მეფე აქადისა და შუმერისა, სარგონ დიდის ვაჟი – ძვ. წ. 2261-2252 წწ.) მოკლულ იქნა წარჩინებულთა შეთქმულების შედეგად. დიდებულებმა საკუთარი, ქვისგან დამზადებული, ცილინდრული საბეჭდავები გამოიყენეს როგორც მკვლელობის იარაღი. ომინის ცნობით, „ძლევამოსილებმა“ ცილინდრული საბეჭდავები დაუშინეს მეფეს და ჩაქოლეს, რადგან მათ მეფის წინაშე იარაღით ყოფნა ეკრძალებოდათ [Дьяконов И.М. 1983:243-246].

როგორ აღვნიშნეთ, ყველაზე ფართო გამოყენება ცილინდრულ საბეჭდავებს ჰქონდათ მესოპოტამიაში, სადაც მათ დოკუმენტაციის (მათ შორის სავაჭრო) წარმოებაში მოიხმარდნენ. ამ რეგიონის კულტურაში მიღებული იყო ხელშეკრულებების გაფორმება თიხის ფირფიტებზე, ცხადია მოწმეთა თანდასწრებით. ამასთან, გამყიდველი, მყიდველი და მოწმეები „ხელს აწერდნენ“ საკუთარი ცილინდრული საბეჭდავებით. ზოგჯერ შეთანხმებას ადასტურებდა ადგილობრივი მოხელე, რომელიც ასრულებდა ნოტარიუსის როლს.

საინტერესოა, რომ თუ მოქალაქე დაკარგავდა საბეჭდავს, მიღებული იყო გაეგზავნათ მაცნეები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში, ისინი ყვიროდნენ ყოველ ქუჩაზე და ამცნობდნენ ხალხს ამა თუ იმ მოქალაქის მიერ საბეჭდავის დაკარგვას და რაც მთავარია, მიუთითებდნენ, რომ ამიერიდან ეს საბეჭდავი მოქმედი აღარ იყო.

ცილინდრულ საბეჭდავს მფლობელის სიკვდილის შემდეგ სამარხში ატანდნენ სხვა პირად და ფასეულ ნივთებთან ერთად.

ცილინდრული საბეჭდავები წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ძველი სამყაროს ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს დაკავშირებული იმასთან, რომ ამ საბეჭდავთა უმრავლესობა დამზადებული იყო მკვრივი ქვებისგან, უძლებდა დროთა მსვლელობას და კარგად იყო შემონახული. ცილინდრულ საბეჭდავებზე გამოსახული უნიკალური სცენები კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საზოგადოების რელიგიური შეხედულებების შესახებ [სამსონია ნ. 2008: 7-25].

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს „ირანულ კოლექციაში“ გაერთიანებულია 74 ცილინდრული საბეჭდავი. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ამ საბეჭდავთა ყოველმხრივი შესწავლა და კატალოგად

გამოცემა, რომელსაც თან დაერთვება კვლევითი ნაწილი. წინამდებარე ნაშრომში (ნაწილი I) წარმოდგენილი იქნება ყველა საბეჭდავისა და მასზე გამოსახული სიუჟეტის აღწერილობა, თანდართული ფოტომასალით (ჩვენ ამჯერად შეგნებულად თავს ვიკავებთ ანაბეჭდების გამოქვეყნებისგან). დავადგინეთ საბეჭდავთა მასალა, მოვიტანეთ მათი ზუსტი ზომები და დაცულობა. მომავალში (ნაწილი II) გადწყვეტილი გვაქვს შემოგთავაზოთ ამ საბეჭდავთა სტილურ-კომპოზიციური კვლევა, მოვიტანთ სათანადო პარალელურ მასალას და შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვსაზღვრავთ საბეჭდავთა თარიღსა და კულტურულ კუთვნილებას. ცალკე თავს (ნაწილი III) მივუძღვნით საბეჭდავზე ამოკვეთილ გამოსახულებათა და სიუჟეტთა სიმბოლურ მნიშვნელობას, რადგან თითოეული გამოსახულებას სიმბოლური დატვირთვა გააჩნია და მათი მართებული გაშიფვრა ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს ამ საბეჭდავთა შემქმნელი საზოგადოების რელიგიურ შეხედულებებზე, მათ იდეოლოგიაზე და რწმენა-წარმოდგენებზე, ასევე რიტუალზე. რელიგიური სცენები გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ამ საბეჭდავთა მფლობელების მრწამსზეც.

კატალოგი

ნაწილი I

1. **გლ. ფ. 456.** საბეჭდავი-ინტალიო, ჰემატიტი, საბეჭდავს ცილინდრის ფორმა აქვს, მთელ სიგრძეზე გახვრეტილია. საბეჭდავი თანაბრად არის გათლილი და გაპრიალებული. პირზე ამოკვეთილია ენქიდუსა და გილგამეშის ბრძოლა, აგრეთვე სამი ადამიანი გრძელ კაბებში. ორი მათგანი პროფილში მარჯვნივ დგას, ერთიმეორის უკან, ხოლო ერთი – მათ პირდაპირ – პროფილში მარცხნივ. მათ თავებს შორის ორი მნათობია ამოკვეთილი. პროფილში მარჯვნივ მდგომ ადამიანებს ერთმანეთისგან საკმაოდ მაღალი (წელამდე სწვდებათ) სვეტი ჰყოფს (ილ. 1, 2, 3, 4). ზომები: L=21 mm, D=11 mm. ნახვრეტის D=3 mm. ცილინდრის კიდეები (თავსა და ბოლოში) დაზიანებულია. ზოგან საბეჭდავი დაკაწრულია მცირედ.

ილ. 1

ილ. 2

ილ. 3

ილ. 4

2. **გლ. ფ. 507.** საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მუქი ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, განიერი და საკმაოდ მოკ-ლეა, საბეჭდავს მთელ სიგრძეზე ნახვრეტი აქვს გაკეთებული ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია რვა მორიელი, ორ წყებად, ერთი მეორის უკან. ოთხი თავით მარჯვნივ, ოთხი – თავით მარცხნივ. მორიელები თითქმის ყველა თანაბარი ზომისაა, მკვეთრად გამოხატული მარწუხებით; გრძელი კუდები მოკეცილი აქვთ (ილ. 5). ზომები: სიგრძე=19 mm; დმ=19 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი კარგად არის შენახული.

ილ. 5

3. **გლ. ფ. 508.** საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, ვიწრო და გრძელია. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი თანაბრად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ოთხი მორიელი (თავით საბეჭდავის კიდისკენ), ერთმანეთთან თავ-ბოლო შექცეული, გაშლილი მარწუხები მკვეთრად არის გამოხატული. „ტანი“ ჰორიზონტალური მოკლე-მოკლე ღარებითაა დასერილი; ყოველ მათგანს სეგმენტირებული კუდი აქვს, მეტ-ნაკლებად გაშლილი ან მოკეცილი. საბეჭდავსთავსა და ბოლოში, კიდესთან გარს უვლის ერთსტრიქონიანი წარწერა – ფალაური? (ილ. 6). ზომები: სიგრძე=23 mm; დმ=10 mm; ნახვრეტის დმ=2 mm. საბეჭდავი ცალ მხარეს (ნახვრეტთან) გაკაწრულია, საკმაოდ ღრმად.

ილ. 6

4. **გლ. ფ. 509.** საბეჭდავი-ინტალიო, მარმარილო, ვარდისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, ვიწრო და გრძელია. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისთვის. ქვა კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ფეხზე მდგომი მამაკაცი. თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, წვერიანია, თავს გვირგვინი? უმკობს. საკმაოდ გრძელი თმა თითქმის მხრებამდე სწვდება. განიერი ხალათი აცვია, ნაოჭიანი შარვალი „ჩექმებში“ აქვს ჩატანებული. მამაკაცი ორ ლომს შორის დგას და ხელები მათი კისრებისათვის წაუვლია. კუდაწეული ლომები უკანა ცალ ფეხზე დგანან, პირი დაღებული აქვთ. ფაფარი მოკლე ჰორიზონტალური ღარებითაა გადმოცემული. ბრჭყალები მკვეთრად ჩანს. მარცხენა მხარეს გამოსახულია ხე, რომლის წვერზე ფრინველი ზის (ილ. 7, 8, 9). ზომები: სიგრძე=26 mm; დმ=10 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი კარგად არის შენახული. ადგილ-ადგილ ატკეცილია, ძალიან მცირედ.

ილ. 7

ილ. 8

ილ. 9

5. **გლ. ფ. 510.** საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა? ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, ვიწრო და საკმაოდ გრძელია. ქვაში მთელ სიგრძეზე გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისთვის. საბეჭდავი თანაბრად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ფანტასტიკური არსება – ფრთოსანი ოთხფეხი, ბასრი ბრჭყალებითა და გრძელი კუდით (კატის ჯიშისა უნდა იყოს), რომელსაც თავი ადამიანის აქვს (თავი წარმოადგენს ადამიანის სხეულს წელამდე) – წვერიანი მამაკაცი. ხელში მშვილდისარი უჭირავს, სასროლად აქვს მომარჯვებული. არსება ლომს მისდევს. ლომი უკანა ფეხებზე დგას, ნახტომის გასაკეთებლად არის მომზადებული, პირაშკმულია, გრძელი კუდი ზევით აქვს აწეული. არსების თავის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს გამოსახულია ნახევარმთვარე (ილ. 10, 11). ზომები: სიგრძე=22 mm; დმ=10 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ილ. 10

ილ. 11

6. **გლ. ფ. 511.** საბეჭდავი-ინტალიო, სპილოს ძვალი, მოყვითალო ფერისა. საბეჭდავს კასრისებრი ცილინდრის ფორმა აქვს, მთელ სიგრძეზე გახვრეტილია. ნახვრეტი საკმაოდ ფართეა. საბეჭდავი უწესო ფორმისაა. თავსა და ბოლოში – პირზე ორ-ორი პარალელური ღარი აქვს შემოვლებული. ღარებს შორის მოთავსებული სიბრტყე ბადურა რომბებით არის შევსებული (ილ. 12). ზომები: სიგრძე=23 mm; დმ=23 mm; ნახვრეტის დმ=11 mm. პირი ზოგან ამოტეხილია. ზოგან ისე არის გაცვეთილი, რომ გამოსახულება დაზიანებულია.

ილ. 12

7. **გლ. ფ. 512.** საბეჭდავი-ინტალიო, ძვალი მოყვითალო, ზოგან თეთრი ფერისა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, გრძელი და საკმაოდ განიერია; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. პირზე გამოსახულია ორი ზურგშექცეული ლომი. ლომები უკანა ფეხებზე დგანან, პირდაღებულები არიან. ლომებს შორის (თავებთან) გამოსახულია ნახევარი მთვარე. მარჯვენა მხარეს ამოკვეთილია გრძელრქიანი ცხოველი, წინა ფეხებზე დაჩოქილი. ცხოველის სხეული ჰორიზონტალური ხაზებით არის დასერილი; რქები ოდნავ გახრილი აქვს. ცხოველის ზურგის გასწვრივ ამოკვეთილია მნათობი (ილ. 13). ზომები: სიგრძე=30 mm; დმ=14 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი გაბზარულია, ნახვრეტში. პირი საბეჭდავს დაკენკილი აქვს.

ილ. 13

8. **გლ. ფ. 513.** საბეჭდავი-ინტალიო, ქალცედონი, თეთრი ფერის, შავი ლაქებით. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, საკმაოდ განიერი და გრძელია; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ წესიერად არის გათლილი. პირზე გამოსახულია წვერიანი ღვთაება პროფილში მარჯვნივ. ტუნიკა აცვია; საკმაოდ გრძელი წამოსასხამი აქვს წამოსხმული. ზურგზე კაპარჭი უკეთია. ღვთაება შარავანდედითაა შემოსილი. ღვთაების წინ დგას წვერიანი მამაკაცი, პროფილში მარცხნივ. გრძელი კაბა აცვია; ხელები წინ აქვს გაწვდილი. ღვთაების უკან წმინდა ხე დგას. ხის ზემოთ გამოსახულია ნახევარმთვარე (ილ. 14). ზომები: სიგრძე=32 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი რამდენიმე ადგილას ამოტეხილია, ზოგან გაბზარული და ატკეცილია.

ილ. 14

9. **გლ. ფ. 514.** საბეჭდავი-ინტალიო, ქალცედონი, მოყვითალო, ადგილ-ადგილ ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, საკმაოდ დიდი ზომისაა; მთელ სიგრძეზე გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი წესიერად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ბაბილონელი ქურუმი, პროფილში მარცხნივ. ქურუმის წინ აღმართულია ისარი და ორი „სვეტი“, რომელთაგან ერთი ნახევარმთვარით ბოლოვდება. ამ უკანასკნელთან ჯიხვი დგას, პროფილში მარცხნივ. ჯიხვის უკან გამოსახულია სამსხვერპლო, რომელზედაც თევზი დევს (ილ. 15). ზომები: სიგრძე=34 mm; დმ=16 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ორად არის გატეხილი, ზოგან პირი ამოტეხილია, ზოგან გაბზარული და ატკეცილია.

ილ. 15

10. **გლ. ფ. 515.** საბეჭდავი-ინტალიო, ქვიშაქვა? მოვარდისფრო. საბეჭდავი ცილინდრულია, გრძელი და საკმაოდ განიერია. საბეჭდავში მთელ სიგრძეზე გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის; საბეჭდავი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. პირი დაზიანებულია, ამის გამო გამოსახულება დაზიანებული და ბუნდოვანია. პირზე გამოსახულია ფეხზე მდგომი ადამიანები, რამდენიმე? საბეჭდავის დიდი ნაწილი გადახეხილია და აღარაფერი ჩანს (ილ. 16). ზომები: სიგრძე=45mm; დმ=14 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი ძალზე დაზიანებულია. ქვა გამოფიტული.

ილ. 16

11. **გლ. ფ. 516.** საბეჭდავი-ინტალიო, წმინდა თიხის მასა, მოთეთრო ფერის, ზოგან ყავისფერი ნალექი აქვს გადაკრული. საბეჭდავს მოგრძო კასრისებრი ცილინდრის ფორმა აქვს, მთელ სიგრძეზე გახვრეტილია. საბეჭდავი საკმაოდ უწესო ფორმისაა, ზოგან თითქოს წახნაგი (სიგრძეზე) ჰქონიაო. საბეჭდავს პირი გადახეხილი აქვს. ამის გამო გამოსახულება დაზიანებულია, ადგილ-ადგილ ძალიან ბუნდოვნად ჩანს. პირზე გრძელ ტანსაცმელში შემოსილი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ გამოხატულნი. რამდენიმე კაბის ქვედა ნაწილი ჩანს (ილ. 17). ზომები: სიგრძე=38 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ძალზე დაზიანებულია. პირი იმდენად არის გადახეხილი, რომ გამოსახულება არ ჩანს.

ილ. 17

12. **გლ. ფ. 517.** საბეჭდავი-ინტალიო, კირქვა? მოცისფრო ფერის, ზოგან ყავისფერი ნალექი აქვს გადაკრული. საბეჭდავი ცილინდრულია, საშუალო ზომის, საკმაოდ განიერი, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი უწესო ფორმისაა. პირზე გამოსახულია ხელებგაშლილი ადამიანი, მოკლე კაბაში (თავი არ უჩანს), რომელიც ცხენის? წინ დგას. ცხენს? მეტად მაღალი კისერი და ფეხები აქვს. აგრეთვე რამდენიმე გაურკვეველი საგანია გამოსახული (ილ. 18). ზომები: სიგრძე=28 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ძალზე დაზიანებულია. პირი იმდენად არის გადახეხილი, რომ გამოსახულება ძალიან ბუნდოვნად ჩანს. ქვა გამოფიტულია.

ილ. 18

13. **გლ. ფ. 518.** საბეჭდავი-ინტალიო, ქვიშაქვა? მონაცრისფრო. საბეჭდავი ცილინდრულია, დიდი ზომისაა. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი წესიერი ფორმისაა; პირზე გამოსახულია გრძელ კაბაში შემოსილი მამაკაცი (ქურუმი?), რომლის წინ დგას ორი ჯიხვი უკანა ფეხებ-ზე. ჯიხვსა და ქურუმს შორის ისარია აღმართული. ქურუმის? თავს ზემოთ ფრინველი მიფრინავს. ჯიხვები ერთმანეთის უკან დგანან, მათ შორის სამი ხე არის გამოსახული – შუაში მაღალი, ხოლო აქეთ-იქით – დაბალი. ნიადაგის ზოლი კარგად ჩანს (ილ. 19). ზომები: სიგრძე=55mm; დმ=17 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. საბეჭდავი ძალზე დაზიანებულია. პირი იმდენად არის გადახეხილი, რომ გამოსახულება ძალიან ბუნდოვნად ჩანს. ქვა გამოფიტულია, ზოგან ამოტეხილია მცირედ (ნახვრეტებთან).

ილ. 19

14. გლ. ფ. 519. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მოშავო ფერის. საბეჭდავი ცილინდრულია, პატარა ზომისაა, მთელ სიგრძეზე აქვს ნახვრეტი ზონრისათვის, კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ორი ფეხზე მდგომი ადამიანი. იდაყვში მოხრილი ხელებიზევით აქვთ აპყრობილი (ვედრების პოზა). მოკლე კვართები? აცვიათ. თითოეულის გვერდით გრძელი სარია გამოსახული. ადამიანებს შორის ანტილოპაა? ამოკვეთილი. გრძელი, უკან გადაყრილი რქები აქვს, მოკლე კუდი (ილ. 20, 21). ზომები: სიგრძე=15 mm; დმ=9 mm; ნახვრეტის დმ=2 mm. საბეჭდავი კარგად არის შენახული.

ილ. 20

ილ. 21

15. გლ. ფ. 520. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, საშუალო ზომისაა, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ცილინ-დრი კარგად არის გათლილი. გამოსახულება ბუნდოვნად ჩანს. პირზე ამოჭრილია მაღალი ხე, რომლის გარშემო ცხოველები, ფრინველები და მოცეკვავე? ადამიანია გამოსახული. ხეს-თან დიდი ზომის ბორბალი? ჩანს (ილ. 22, 23, 24). ზომები: სიგრძე=28 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. საბეჭდავი კარგად არის შენახული. კარადა 1, უჯრა 12, ძველი ნომერი 1-42/145, შემოსავლის წიგნის ნომერი 191.

ილ. 22

ილ. 23

ილ. 24

16. გლ. ფ. 521. საბეჭდავი-ინტალიო, ქალცედონი? გადამწვარი. ადგილ-ადგილ თეთრი ფერისაა. საბეჭდავი ცილინდრია, პატარა ზომის, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისთვის, კარგად არის გათლილი. ცილინდრს შუაში ღრმა ღარი უვლის გარს, რომელიც პირს ორად ყოფს. პირი დასერილია ურთიერთგადამკვეთი ღარებით – თევზიფხურ ორნამენტს მოგვაგონებს (ილ. 25). ზომები: სიგრძე=16 mm; დმ=12 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. პირი რამდენიმე ადგილას დაზიანებულია და ატკეცილია. თავსა და ბოლოში ცილინდრი რამდენიმე ადგილას ჩამოტეხილია მცირედ.

ილ. 25

17. გლ. ფ. 522. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მოშავო ფერის, მოჭიქული. ჭიქური თეთრი ფერისაა. საბეჭდავი ცილინდრულია, საშუალო ზომის, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ცილინდრი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. გამოსახულება ზოგან ბუნდოვნად ჩანს. პირი ვიწრო ღარით ორად არის გაყოფილი. „ზედა ნაწილში“ ამოკვეთილია პატარა სამკუთხედები ორ წყებად. მათ ერთმანეთისგან ტეხილი ღარი ჰკვეთს. „ქვედა ნაწილში“ – ჯვარისმაგვარი სახე, სამი მკლავი ჩანს. ყოველ მკლავში თითო სამკუთხედია ამოკვეთილი (ილ. 26). ზომები: სიგრძე=25 mm; დმ=10 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. თავსა და ბოლოში ცილინდრი ჩამოტეხილია, პირი ძალზე გადახეხილია ისე, რომ გამოსახულება ქვედა ნაწილში ზოგან არ ჩანს. დაზიანებულია.

ილ. 26

18. გლ. ფ. 523. საბეჭდავი-ინტალიო. ტალკის ქვა, მოშავო ფერის. მოჭიქული? ჭიქური მონაცრისფროა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, საკმაოდ დიდი ზომისაა. ცილინდრს მთელ სიგრძეზე აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. არ არის თანაბრად გათლილი. პირზე გეომეტრიული ორნამენტია გამოსახული. ტოლფერდა სამკუთხედს გარს უვლის ვიწრო, მორკალული ღარი. სამკუთხედსა და რკალს შორის მოთავსებული სიბტყე ირიბი ღარებით არის შევსებული. აგრეთვე ორ სწორ ხაზს შორის ამოკვეთილია რამდენიმე სოლისებრი ნიშანი (ილ. 27). ზომები: სიგრძე=16 mm; დმ=11 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. ცალი მხარე ჩამომტვრეული აქვს. პირი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ილ. 27

19. გლ. ფ. 524. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მოშავო ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, პატარა ზომისაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა საკმაოდ კარგადაა გათლილი. გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოხატულია მაღალი მცენარე? რომლის ქვედა ნაწილი ჯვარს მოგვაგონებს. მცენარის გასწვრივ ორთავე მხარეს (სიმეტრიულად განლაგებული) უკანა ფეხებზე შემდგარი ცხოველებია ამოკვეთილი. სულ 4 ცხოველია. ამათგან ერთი ლომია, დანარჩენს თავები არ უჩანს, ამის გამო ძნელია მათი გარკვევა. ლომის პირდაპირ მდგომარე – ფრთოსანი, ფანტასტიკური ცხოველი უნდა იყოს (ილ. 28, 29, 30). ზომები: სიგრძე=18 mm; დმ=10 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. ზოგან საბეჭდავი კარგად არის შენახული, ზოგან პირი ძალზე გადახეხილი აქვს ისე, რომ გამოსახულება დაზიანებულია.

ილ. 28

ილ. 29

ილ. 30

20. გლ. ფ. 525. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, პატარა ზომისაა, ცილინდრს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ წესიერად არის გათლილი. პირი ძალზე გაცვეთილია, ამის გამო გამოსახულება ბუნდოვნად ჩანს. მჯდომარე ადამიანს იდაყვში მოხრილი ხელები აქვს გაწვდილი – ვედრების პოზაში. მის წინ ორი ადამიანი დგას. ხელები ამათაც ვედრების პოზაში აქვთ გამოსახული. მჯდომარე ადამიანის წინ ამართულია მაღალი, სარისებრი საგანი (ილ. 31, 32). ზომები: სიგრძე=19 mm; დმ=9 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავს ცალი მხარე ჩამომტვრეული აქვს. ადგილ-ადგილ ატკეცილი და დაკაწრულია. გამოსახულება გახეხილია.

ილ. 31

ილ. 32

21. გლ. ფ. 526. საბეჭდავი-ინტალიო, ლაჟვარდის ქვა, ღია ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, საშუალო ზომისაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა საკმაოდ კარგად არის გათლილი. გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია შიშველი ადამიანი, რომელსაც უკანა ფეხებზე შემდგარ ანტილოპებისათვის კისრებში ხელი წაუვლია. ადამიანი ანტილოპებს შორის დგას. ყოველი ანტილოპის ზურგს უკან თითო პირაშკმული ლომია

ილ. 33

გამოსახული. უკანა ფეხებზე შემდგარი ლომები წინა თათებით ანტილოპების ზურგებს ეყრდნობიან; ლომებს კუდები ზევითაც აქვთ აშვერილი. ლომებს შორის მნათობის სიმბოლოა გამოსახული (ილ. 33). ზომები: სიგრძე=16 mm; დმ=9 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. პირი ადგილ-ადგილ ატკეცილია. საკმაოდ გახეხილიც არის ისე, რომ გამოსახულება ბუნდოვნად ჩანს.

22. გლ. ფ. 527. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. განიერი და მოკლეა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისთვის. ქვა საკმაოდ კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი ადამიანი? რომელსაც ხელები წინ აქვს გაწვდილი. გვერდით ამოკვეთილია საკმაოდ გაურკვეველი გამოსახულება, შესაძლებელია ხელ-ფეხ გაშლილი ადამიანი იყოს. აღწერილი სიუჟეტი ცილინდრზე მეორდება (ილ. 34). ზომები: სიგრძე=17 mm; დმ=16 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ორგან ამოტეხილია, რამდენიმე ადგილას ატკეცილი, მცირედ.

ილ. 34

23. გლ. ფ. 528. საბეჭდავი-ინტალიო. ტალკის ქვა შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, ქვას მთელ სიგრძეზე გა-

ილ. 35

ილ. 36

ილ. 37

კეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. პირზე გამოსახულია ორი ადამიანი, პროფილში მარჯვნივ მიმავალი, თავები არ უჩანთ, განიერი გულ-მკერდი და გრძელი ხელები აქვთ. მოკლეფეხებიანი არიან. ადამიანებს შორის გამოსახულია მცენარე. ერთერთ მათგანს მხარსა და იდაყვთან – თითო ექვსქიმიანი მნათობი არის გამოსახული (ილ. 35, 36, 37). ზომები: სიგრძე=29 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია, ზოგან დაკაწრულია.

24. გლ. ფ. 529. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მოთეთრო ფერისა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ცილინდრი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. პირზე გეომეტრიული ორნამენტია გამოსახული. სხივისებურად განლაგებული სწორი ღარები ცენტრში იყრის თავს. ზოგი ღარი თავსა და ბოლოში ბურთულებით ბოლოვდება. გამოსახულება კვადრატულ ჩარჩოშია ჩასმული (ილ. 38). ზომები: სიგრძე=34 mm; დმ=11 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილი და ამოტეხილია, პირი ძლიერ დაზიანებულია, ამის გამო გამოსახულება მთლიანად არ ჩანს.

ილ. 38

25. გლ. ფ. 530. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მუქი ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ცალ მხარეს მთელ სიგრძეზე ცილინდრი წაკვეთილია. საბეჭდავი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი, პირი ძალიან გახეხილია, ამიტომ გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახული უნდა იყოს თაყვანისცემის სცენა: პროფილში მარჯვნივ მიბრუნებულ ორ ადამიანს გრძელი კაბები აცვიათ; ხელები წინ აქვთ გაწვდილი, ვედრების მოძრაობაში. ამავე ცილინდრზე ამოჭრილია რამდენიმე სხვა სახე, რომლის გარკვევა შეუძლებელია (ილ. 39). ზომები: სიგრძე=30 mm; დმ=17 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. საბეჭდავის პირი გადახეხილია.

ილ. 39

26. გლ. ფ. 531. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა მოშავო ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი არ არის თანაბრად გათლილი, საკმაოდ უწესო ფორმა აქვს. პირზე უხვად არის გამოსახული სხვადასხვა გაურკვეველი ნიშნები. ზოგი მათგანი ფრინველებს მოგვაგონებს, ზოგი მცენარეს, ზოგიც ცხოველებს. ნიშნები წვრილი ღარებისა დასაკმაოდ „ღრმა წრეებისგან“ შედგება. ერთგან ცილინდრის ღერძის გასწვრივ ოთხფეხა ცხოველია გამოსახული, მიმავალი პროფილში მარცხნივ (ილ. 40, 41). ზომები: სიგრძე=32 mm; დმ=15 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია, ძალიან მცირედ.

ილ. 40

ილ. 41

27. გლ. ფ. 532. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მუქი ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. პირზე გამოსახულია ნადირობის სცენა. მაღალ, საკმაოდ ხშირტოტებიან ხესთან დგას ჯიხვი? გრძელი ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის რქები უკან აქვს გადაყრილი, ხის უკან დგას მონადირე პროფილში მარცხნივ მიბრუნებული. მოკლე „კაბა“ აცვია. ზე აპყრობილ ხელებში რაღაც გაურკვეველი იარაღი აქვს მომარჯვებული, რომელსაც მის წინ მყოფ ჯიხვს უმიზნებს. ჯიხვი ნახტომს აკეთებს, პროფილში მარცხნივ არის გამოსახული (ილ. 42). ზომები: სიგრძე=21 mm; დმ=12 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ილ. 42

28. გლ. ფ. 533. საბეჭდავი-ინტალიო, ქალცედონი, მოყვითალო ფერის, ზოგან მოვარდისფრო. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გახვრეტილია. ქვა კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ორი ფანტასტიკური ფრთოსანი ცხოველი. ცხოველები უკანა ფეხებზე არიან შემდგარნი. წინა ფეხები წინ აქვთ გაწვდილი. ერთ მათგანს თავი არ უჩანს. ცხოველებს შორის ექვსქიმიანი მნათობია გამოსახული (ილ. 43). ზომები: სიგრძე=15 mm; დმ=9 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ერთგან ამოტეხილია, რამდენიმე ადგილას ატკეცილი.

ილ. 43

29. გლ. ფ. 534. საბეჭდავი-ინტალიო, გველა მოშავო ფერის, ზოგან ყავისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი უწესოდ არის გათლილი. პირზე გამოსახულია ორი ერთმანეთის პირდაპირ მდგომი ფრთოსანი ცხოველი. ერთი მათგანი რქოსანია; მაღალი, კოხტად მოყვანილი კისრები აქვთ და გრძელი სხეული. მოკლე ფეხებიანი არიან. ზევით აწეული კუდები გრძელი და ჩახვეული აქვთ ბოლოში. ცხოველებს შორის ხე არის აღმართული – წიწვიან მცენარეს მოგვაგონებს (ილ. 44). ზომები: სიგრძე=16 mm; დმ=11 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. საბეჭდავი ორგან ამოტეხილია, ზოგან ატკეცილია მცირედ.

ილ. 44

30. გლ. ფ. 535. საბეჭდავი-ინტალიო. ჰემატიტი, შავი ფერის, ლითონის ბრწყინვალეებით. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ კარგადაა გათლილი. პირზე ორი სიუჟეტია ამოჭრილი. ა – გამოსახულია ქალღმერთი, თავზე მაღალი თავსაბურავი ხურავს. გრძელი, გულ-მკერდთან გადაჭერილი, ნაოჭიანი კაბა აცვია. იდაყვში მოხრილ მარცხენა ხელით მაღალ სარს ეყრდნობა. ღვთაების წინ დგას შიშველი ქალი, თავი პროფილში მარცხნივ აქვს მიბრუნებული, დოინჯშემოყრილია. ბ – ორი ერთმანეთის პირდაპირ მდგომი ქალი. გრძელი კაბები აცვიათ. თავებს განიერი და დაბალი თავსაბურავები უმკობთ. ერთ მათგანს გრძელი, დამუხლული სარი უჭირავს მარცხენა ხელში, სარს ვარსკვლავისებრი თავი აქვს. მეორეს – იდაყვში მოხრილი ხელები წინ გაუწვდია, ვედრების პოზაში (ილ. 45, 46, 47).

ზომები: სიგრძე=25 mm; დმ=10 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ორგან ამოტეხილია, ზოგან ატკეცილია და დაკაწრულია ისე, რომ გამოსახულება დაზიანებულია.

ილ. 45

ილ. 46

ილ. 47

31. გლ. ფ. 536. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მოშავო-ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. პირზე გამოსახულია თაყვანისცემის სცენა. პირი ძალზე გახეხილია, ამიტომ გამოსახულება ბუნდოვნად ჩანს. სავარძელზე მჯდომარე ღვთაების? წინ ორი ადამიანი დგას. ღვთაებას? გრძელი, დანაოჭებული კაბა აცვია. ხელები წინ აქვს გაწვდილი. თავი მეტად მკრთალად ჩანს. მდგომარე ადამიანებს თავები არ უჩანთ, ხელები ვედრების მოძრაობაში აქვთ გამოსახული. გრძელი, ნაოჭასხმული კაბები აცვიათ. ღვთაების სავარძლის უკან რაღაც გაურკვეველი ნიშნებია ამოკვეთილი (ილ. 48). ზომები: სიგრძე=25 mm; დმ=12 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავს პირი გახეხილი აქვს ისე, რომ გამოსახულება დაზიანებულია.

ილ. 48

32. გლ. ფ. 537. საბეჭდავი-ინტალიო, რკინა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. „შუაწელში“ ოდნავ შევიწროვებულია, საკმაოდ დიდი ზომისაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ნახვრეტი მეტად პატარა ზომისაა. პირი იმდენად დაზიანებულია, რომ გამოსახულება არ ჩანს. როგორც ეტყობა, საბეჭდავს თავსა და ბოლოში საკმაოდ ღრმა ღარი ჰქონდა ამოკვეთილი (ილ. 49). ზომები: სიგრძე=42 mm; დმ=24 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ძალზე დაჟანგულია ისე, რომ გამოსახულება არ ჩანს.

ილ. 49

33. გლ. ფ. 538. საბეჭდავი-ინტალიო, მარჯანი? მოყვითალო ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. იგი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. პირზე გამოსახულება არ ჩანს, რადგან საბეჭდავი გაცვეთილია. დარჩენილია რამდენიმე ირიბი, არაღრმა ღარი (ილ. 50). ზომები: სიგრძე=40 mm; დმ=21 mm; ნახვრეტის დმ=7 mm. საბეჭდავი ცალ მხარეს ჩამოტეხილია, ორგან გაბზარულია.

ილ. 50

34. გლ. ფ. 539. საბეჭდავი-ინტალიო, ძვალი, თეთრი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. იგი კარგადაა გათლილი. საბეჭდავი გაცვეთილია, ამის გამო გამოსახულება მკრთალად ჩანს, ზოგან არაფერი ეტყობა. პირზე შერჩენილია მკრთალი გამოსახულება ცხოველისა – რქოსანი უნდა იყოს, აგრეთვე ტეხილი ღარები და გულამოღებული წრეები (ილ. 51). ზომები: სიგრძე=47 mm; დმ=17 mm; ნახვრეტის დმ=7 mm. საბეჭდავი რამდენიმე ადგილას ამოტეხილია, ზოგან გაბზარულია.

ილ. 51

35. გლ. ფ. 540. საბეჭდავი-ინტალიო, კალციტი, თეთრი ფერის, მოყვითალო ლაქებით და ყავისფერი ფენით. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მას მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. პირი იმდენად არის გაცვეთილი, რომ გამოსახულება არ ჩანს. დარჩენილია რამდენიმე გაურკვეველი გამოსახულების კვალი (ილ. 52, 53). ზომები: სიგრძე=47 mm; დმ=16 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. პირი ძალზე გახეხილია ისე, რომ გამოსახულება არ ჩანს. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილი და დაკაწრულია.

ილ. 52

ილ. 53

36. გლ. ფ. 541. საბეჭდავი-ინტალიო, კალციტი, თეთრი ფერისა, ზოგან ყავისფერი ფენა აქვს გადაკრული. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. იგი საკმაოდ უწესოდ არის გათლილი. პირზე – ცილინდრის „ღერძის“ გასწვრივ – ძალზე სქემატურად გამოსახულია რქოსანი ცხოველი, რომელსაც აქვს გრძელი, უკან გადაყრილი რქები და მოკლე, ზევით აშვერილი კუდი, წვერიანია. მაღალი ფეხები სწორი ხაზებით არის გადმოცემული (ილ. 54). ზომები: სიგრძე=30 mm; დმ=15 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ დაკაწრული და ატკეცილია მცირედ.

ილ. 54

37. გლ. ფ. 542. საბეჭდავი-ინტალიო, ქვა? თეთრი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ კარგად არის გათლილი. პირი გაცვეთილია, გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია ფრთოსანი დისკო, მის ქვემოთ ისარი. გვერდით ამოჭრილია გრძელკაბიანი ადამიანი. მამაკაცი უნდა იყოს. მის წინ ორი მამაკაცი დგას, ერთმანეთის უკან, გრძელი კაბები აცვიათ, ხელები ვედრების პოზაში აქვთ გამოსახული (ილ. 55). ზომები: სიგრძე=36 mm; დმ=14 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია და ზოგან დაკაწრული და მცირედ ამოტეხილი.

ილ. 55

38. გლ. ფ. 543. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ კარგად არის გათლილი. პირზე საკმაოდ სქემატურად, მაგრამ მკა-

ილ. 56

ილ. 57

ილ. 58

ფიოდ გამოსახულია ეტლი, რომელსაც მაღალფეხება ცხენი ჰყავს შებმული. ეტლი ცილინდრული მოყვანილობისაა, ცალი ბორბალი ჩანს (ორთვლიანი უნდა იყოს). კოფოზე პატარა კაცი ზის, რომელსაც წინ გაწვდილ ხელებში აღვირი უჭირავს. ეტლის წინ მეტად მაღალი მამაკაცი მიდის. მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და ზე აპყრობილი აქვს, მარცხენა ხელი კი ცხენის ლაგამისთვის წაუვლია (ილ. 56, 57, 58). ზომები: სიგრძე=20 mm; დმ=12 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი კარგად არის შენახული.

39. გლ. ფ. 544. საბეჭდავი-ინტალიო, სარდიონი, მოწითალო ფერის, ადგილ-ადგილ მოვარდისფრო ლაქები აქვს. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი არ არის წესიერად გათლილი. პირზე ამოკვეთილია რვასტრიქონიანი ლურსმული? წარწერა. სტრიქონებს შორის მკვეთრი ღარებია ამოკვეთილი (ილ. 59, 60). ზომები: სიგრძე=26 mm; დმ=16 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი სამ ადგილას ამოტეხილია, რამდენიმე ბზარი აქვს სიგრძე-სიგანეში. პირზე მრავლად არის ანატკეცები.

ილ. 59

ილ. 60

40. გლ. ფ. 545. საბეჭდავი-ინტალიო, ფრცხილი, ნაცრისფერი, თეთრი განივი ზოლით. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირზე ამოკვეთილია ლურსმული წარწერა ორ სტრიქონად. წარწერის ქვემოთ გამოსახულია თავდახრილი კუზიანი ძროხა, რომელიც ხბოს აწოვებს. მოკლე და სწორი რქები აქვს, დაბალი კუზი, მაღალფეხებიანია. კუზიანი ძროხის გვერდით ამოჭრილია ცხენის? გამოსახულება, რომელიც კვიცს აწოვებს. ცხენი თავდახრილია, მაღალი ფეხები აქვს. გრძელყურებიანია (ილ. 61). ზომები: სიგრძე=35 mm; დმ=10 mm; ნახვრეტის დმ=2 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ილ. 61

41. გლ. ფ. 546. საბეჭდავი-ინტალიო, კალციტი, თეთრი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირი გაცვეთილია ისე, რომ გამოსახულება მკრთალად ჩანს. გამოსახულია ადამიანის ბრძოლა ცხოველებთან. გრძელთმიან მამაკაცს ხელები გაშლილი აქვს და უკანა ფეხებზე შემდგარ ცხოველებისათვის წაუვლია. ცხოველები ლომები უნდა იყვნენ. მამაკაცს გრძელი, ნაოჭიანი შარვალი აცვია. ცილინდრის „ზურგზე“ გამოსახულია ნახევარი მთვარე (მამაკაცის თავის გასწვრივ) და რაღაც გაურკვეველი ნიშნები. ცილინდრზე შესაძლებელია გილგამეში იყოს გამოსახული (ილ. 62). ზომები: სიგრძე=27 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავს პირი ძალზე გახეხილი აქვს, ამის გამო გამოსახულება მეტად მკრთალად ჩანს. ზოგან გარჩევა შეუძლებელი ხდება.

ილ. 62

42. გლ. ფ. 547. საბეჭდავი-ინტალიო, კალციტი, თეთრი ფერის, რამდენიმე ყავისფერი ლაქა აქვს. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირი გაცვეთილია ისე, რომ გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია ჯიხვი პროფილში, მარჯვნივ, მირბის. მის წინ მაღალი, საკმაოდ ხშირტოტიანი ხე დგას, ჯიხვის თავს ზემოთ, ზურგის გასწვრივ მზე არის გამოსახული. ჯიხვის ზურგს უკან სამსხვერპლო უნდა იყოს წარმოდგენილი (ილ. 63). ზომები: სიგრძე=17 mm; დმ=8 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი გახეხილია იმდენად, რომ გამოსახულება მეტად მკრთალად ჩანს. ცილინდრი ერთგან გაბზარულია სისქეში.

ილ. 63

43. გლ. ფ. 548. საბეჭდავი-ინტალიო, იასპი? მოწითალო ფერის, ადგილ-ადგილ ყავისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირზე ამოკვეთილია ორი ზოლი. ზოლები ბირთვებისაგან შედგება. ერთი ზოლი შედგენილია თერთმეტი ბირთვისგან, მეორე – რვა (ილ, 64, 65).

ილ. 64

ილ. 65

ზომები: სიგრძე=17 mm; დმ=8 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

44. გლ. ფ. 549. საბეჭდავი-ინტალიო, ქვა, თეთრი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ცენტრში ხე (კვიპაროსს მოგვაგონებს), აქეთ-იქეთ ჯიხვები. მარჯვენა მხარეს მდგომ ჯიხვს გრძელი და სწორი რქები აქვს, ბოლოში ოდნავ მოხრილი. მაღალი, ირიბი ხაზებით დასერილი კისერი. მარცხნივ მდგომ ჯიხვს გრძელი ჩახვეული რქები აქვს. მოკლე კუდი. კისერი ირიბილარებითაა დასერილი. ორივე ჯიხვს ზურგისკენ მიუბრუნებია თავი და უკან იყურება. საბეჭდავის „ზურგზე“ გამოსახულია ფრთოსანი არსება, თავი არ უჩანს (ილ. 66, 67, 68). ზომები: სიგრძე=25 mm; დმ=14 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. პირი ძალიან გაცვეთილია, ამის გამო გამოსახულება მკრთალად ჩანს. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ილ. 66

ილ. 67

ილ. 68

45. გლ. ფ. 550. საბეჭდავი-ინტალიო, გველა, შავი ფერისა, ადგილ-ადგილ მოყავისფრო. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. გამოსახულია ორი ზურგშექცეული ლომი, უკანა ფეხებზე დგანან. ლომები თავს ესხმიან ჯიხვებს. ჯიხვებიც უკანა ფეხებზე არიან შემდგარნი (ილ. 69). ზომები: სიგრძე=18 mm; დმ=9 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ილ. 69

46. გლ. ფ. 551. საბეჭდავი-ინტალიო, კალციტი, თეთრი ფერისა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირი გაცვეთილია, ამის გამო გამოსახულება ზოგან აღარ ჩანს. თითქოს მოჩანს მამაკაცის გამოსახულება, პროფილში მარცხნივ, მიდის, ხელები წინ აქვს გაწვდილი, დიდ თავიანია. ადამიანის წინ გაურკვეველი გამოსახულებაა ამოჭრილი (ილ. 70). ზომები: სიგრძე=15 mm; დმ=8 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ძალზე გაცვეთილია, გამოსახულება არ ჩანს ადგილ-ადგილ. ორგან სისქეში გაბზარულია, რამდენიმე ადგილას ატკეცილი.

ილ. 70

47. გლ. ფ. 552. საბეჭდავი-ინტალიო, ძვალი? თეთრი ფერისა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ორი რქოსანი. ერთი მიყვება მეორეს. გრძელ სხეულებიანი არიან; დიდი, ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის, ძირს დაშვებული რქები აქვთ. თითეული მათგანის თავი პატარა ზომისა და მრგვალია. ორგან ამოკვეთილია თითო ბირთვისებრი მოყვანილობის, ღრმა და დიდი ზომის წერტილი, მნათობის სიმბოლო უნდა იყოს (ილ. 71). ზომები: სიგრძე=20 mm; დმ=15 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია, ზოგან დაკაწრული, რამდენიმე ადგილას გაბზარულია სისქეში.

ილ. 71

48. გლ. ფ. 553. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ნადირობის სცენა. მონადირეს დაბალი თავსაბურავი ხურავს, პროფილში მარცხნივ არის მიბრუნებული. მოკლე, უსახელო კვართი აცვია, გრძელი, განიერი და ნაოჭიანი შარვალი მოსავს. ფეხების ქვედა ნაწილი არ ჩანს. მონადირე სპარსელი უნდა იყოს, მას ხელში მშვილდისარი აქვს მომარჯვებული, მის წინ მდგომ ლომს უმიზნებს. ლომი უკანა თათებზე დგას, პირდაღებულია; ზევით აწეული კუდი ჩახვეული აქვს. მონადირეს ფეხთით მოკლული ირემი გდია; საკმაოდ დიდი, დატოტვილი რქები აქვს. გრძელფეხე-

ბიანია (ილ. 72, 73). ზომები: სიგრძე=33 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი გახეხილია; რამდენიმე ადგილას გადაკრული აქვს საკმაოდ სქელი მოყვითალო, მონაცრისფრო ფენა. ზოგან დაკაწრულია.

ილ. 72

ილ. 73

49. გლ. ფ. 554. საბეჭდავი-ინტალიო, ბრინჯაო. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, ცენტრში ოდნავ შედრეკილია, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ცილინდრზე ორ წყებად ტეხილი ღარებია „ამოჭრილი“. ეს ღარები სამკუთხედებს ქმნის. ზოგ სამკუთხედში ჩახაზულია წრე (ილ. 74). ზომები: სიგრძე=25 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=9 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ პატინით არის დაფარული. ორგან ამოტეხილია.

ილ. 74

50. გლ. ფ. 555. საბეჭდავი-ინტალიო, ბრინჯაო. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, თავსა და ბოლოში ფართოვდება ცენტრში, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ უწესო ფორმისაა. პირზე ძალზე სქემატურად გამოსახულია ორი ზურგშექცეული ჯიხვი, პროფილში. მათ შორის მზე არის ამოკვეთილი. მზის გასწვრივ, საბეჭდავის მოპირდაპირე მხარეს (მთელ სიგრძეზე) ამოკვეთილია ორი, პარალელური ხაზი. ხაზებს შორის მოთავსებული ფართობი ტეხილი ხაზით არის შევსებული. საბეჭდავს თავსა და ბოლოში გარს უვლის ტეხილი ხაზი (ილ. 75). ზომები: სიგრძე=26 mm; დმ=15 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ პატინით არის დაფარული ისე, რომ გამოსახულება ზოგან არ ჩანს.

ილ. 75

51. გლ. ფ. 556. საბეჭდავი-ინტალიო, ბრინჯაო. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, ცენტრისკენ ვიწროვდება, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი საკმაოდ წესიერი ფორმისაა. გამოსახულება ძალზე ბუნდოვნად ჩანს. პირზე გამოსახულია ფეხზე მდგომი მამაკაცი პროფილში, მარცხენა ხელი წინ აქვს გაწვდილი, სახე არ უჩანს, საკმაოდ მოკლე კაბა აცვია. მის წინ ცხოველები და ფრინველები უნდა იყოს გამოსახული (ილ. 76). ზომები: სიგრძე=30 mm; დმ=16 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. საბეჭდავი პატინის სქელი ფენით არის დაფარული ისე, რომ გამოსახულების უდიდესი ნაწილი დაზიანებულია, არ ჩანს.

ილ. 76

52. გლ. ფ. 557. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მოშავო ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, მთელ სიგრძეზე გახვრეტილია. წესიერად არის გათლილი. გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია თაყვანისცემის სცენა. სკამზე მჯდომ ქურუმის? წინ ორი ადამიანი დგას. ხელები ვედრების პოზაში აქვთ გამოსახული. ერთ-ერთის თავი არ ჩანს. გრძელი კაბები აცვიათ. ქურუმის თავი არ ჩანს, იდაყვში მოხრილი ხელები წინ აქვს გაწვდილი, გრძელი კაბით არის შემოსილი (ილ. 77). ზომები: სიგრძე=26 mm; დმ=14 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი იმდენად არის გახეხილი, რომ ზოგან გამოსახულება დაზიანებულია. პირი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ილ. 77

53. გლ. ფ. 558. საბეჭდავი-ინტალიო, ნიჟარა, თეთრი ფერის. ცილინდრისებრი საბეჭდავი დამუხლულია, მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი არ არის თანაბარი სიგანის. ზოგან გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია რამდენიმე ფანტასტიკური არსება და რამდენიმე ადამიანი. ზოგი ერთმანეთის პირდაპირ დგას, ზოგი ზურგშექცეულია. ყველა მათგანს მარჯვენა ხელი ზევით აქვს აპყრობილი (ილ. 78). ზომები: სიგრძე=50 mm; დმ=10-7 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ამოტეხილია, ზოგან მოყვითალო ფერის ნალექი აქვს გადაკრული. რამდენიმე ადგილას გაბზარულია.

ილ. 78

54. გლ. ფ. 559. საბეჭდავი-ინტალიო. ლითონი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს, ცენტრისკენ ვიწროვდება; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. პირზე გამოსახულია ორი ფანტასტიკური არსება, თავ-ფეხ შექცეულნი არიან, ადამიანებს მოგვაგონებს. საბეჭდავს თავსა და ბოლოში გარს უვლის ორ-ორი ღარი (ილ. 79, 80). ზომები: სიგრძე=40 mm; დმ=29 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავს ზოგან ჟანგის საკმაოდ სქელი ფენა აქვს გადაკრული, ზოგან თეთრი ნალექი, რამდენიმე ადგილას საბეჭდავი დაჭყლეტილია.

ილ. 79

ილ. 80

55. გლ. ფ. 560. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მოშავო ნაცრისფერი. საბეჭდავს კოჭის ფორმა აქვს, საკმაოდ დიდი ზომის არის, მთელ სიგრძეზე გახვრეტილია. პირზე სქემატურად, მაგრამ მკაფიოდგამოსახულია გვირგვინოსანი მხედარი პროფილში, მას საკმაოდ გრძელი თმა აქვს, წვერიანია. მოკლე კაბა აცვია. ორივე ხელები იდაყვში მოხრილი და ზეაპყრობილი აქვს. გვირგვინოსნის წინ ქურუმი? დგას. თავზე დაბალი თავსაბურავი ხურავს, ხელები ზემოთ აქვს აპყრობილი, გრძელი ნაოჭიანი კაბა აცვია. ქურუმსა და გვირგვინოსანს

ილ. 81

ილ. 82

ილ. 83

შორის ფრთოსანი დისკოსებრი ნიშანია (თავების გასწვრივ) გამოსახული, ფეხთით ბალახი. საბეჭდავის ცალ მხარეს ამოჭრილია ძველი არამეული წარწერა, საკმაოდ სტილიზებულია (ილ. 81, 82, 83). ზომები: სიგრძე=42 mm; დმ=32-20 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი ამოტეხილი და დაკაწრულია ადგილ-ადგილ, მცირედ.

56. გლ. ფ. 561. საბეჭდავი-ინტალიო, კაჟი, მოყვითალო ფერისა, ადგილ-ადგილ ყავისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა არ არის თანაბრად გათლილი. გამოსახულება საკმაოდ მკრთალად და ბუნდოვნად ჩანს. პირზე სავარაუდოდ, ლომები უნდა იყოს გამოსახული, ძუ და ხვადი, ერთმანეთის პირდაპირ. გამოსახულება ჩარჩოშია ჩასმული. ზომები: სიგრძე=25 mm, დმ=11 mm, ნახვრეტის დმ=4 mm (ილ. 84). საბეჭდავი იმდენად არის გახეხილი, რომ გამოსახულება არ ჩანს მკაფიოდ. ზოგან პირი ატკეცილია მცირედ.

ილ. 84

57. გლ. ფ. 562. საბეჭდავი-ინტალიო, მარმარილო, მოწითალო ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა არ არის თანაბრად გათლილი. პირზე გამოსახულია უკანა ფეხებზე შემჯდარი ლომი, რომელიც თავს ესხმის რქოსან ცხოველს. ლომი პირდაღებულია; კუდი ზევით აქვს აწეული. სხეული წვრილი ღარებითაა დასერილი. რქოსანი ლომის წინ დგას, თავდახრილია, თითქოს ბალახობს, მაღალი კისერი აქვს, მოკლე და სწორი რქები, გრძელი, ზევით აწეული კუდი. მაღალ-ფეხებიანია. კისერი და ფერდები ირიბი ხაზებით აქვს დასერილი. ლომის თავის გასწვრივ მარჯვნივ და მარცხნივ მზე და ნახევარი მთვარეა გამოსახული. გამოსახულება „ჩარჩოშია“ ჩასმული – ცილინდრს „თავსა“ და „ბოლოში“ გარს უვლის ორ-ორი ღარი და ბადურა სამკუთხედების თითო წყება (ილ. 85). ზომები: სიგრძე=48 mm, დმ=13 mm, ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ილ. 85

58. გლ. ფ. 563. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა საკმაოდ წესიერად არის გათლილი. პირზე ამოკვეთილია სტილიზებული ფანტასტიკური არსება, რომელიც ადამიანს მოგვაგონებს, გამოსახულია მარჯვნივ მიმავალი. გრძელი წვერი აქვს. სამკუთხა მოყვანილობის თავსაბურავი ხურავს, რქოსანი უნდა იყოს, იდაყვში მოხრილი ხელები ზევით აქვს აპყრობილი. არსების ფეხთით ბავშვი? ზის, რომლის წინ წიწვიანი ხე არის გამოსახული. საბეჭდავის პირი ყვავილოვანი ორნამენტით არის შევსებული (ილ. 86, 87) ზომები: სიგრძე=38 mm, დმ=13 mm, ნახვრეტის დმ=6-4 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია და დაკაწრულია მცირედ. ერთგან გაბზარულია ცერად.

ილ. 86

ილ. 87

59. გლ. ფ. 564. საბეჭდავი-ინტალიო, პასტა, ცისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი წესიერი ფორმისაა. პირზე გამოსახულია ნადირობის სცენა. მონადირეს მომარჯვებული აქვს მშვილდ-ისარი, პროფილში დგას. თავს მაღალი თავსაბურავი უმკობს, სახე თითქმის არ უჩანს. გრძელი, წელთან გადაჭერილი კვართი აცვია, ზურგზე კაპარჭი ჰკიდია. მონადირე რქოსან პირუტყვზე ნადირობს, პირუტყვს დაბალი, დატოტვილი რქები აქვს, მაღალი კისერი, მოკლეკუდიანია. მაღალი ფეხები მკვეთრად არის გამოხატული. ჩლიქები მკაფიოდ ჩანს. მონადირესა და რქოსანს შორის დაბალი ბუჩქია გამოსახული, მონადირეს თავის გასწვრივ – ნახევარი მთვარე. ცილინდრის ნაპირებს თითო მკვეთრი ღარი უვლის გარს ისე, რომ გამოსახულება „ჩარჩოშია“ ჩასმული (ილ. 88). ზომები: სიგრძე=23 mm, დმ=8 mm, ნახვრეტის დმ=2 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ილ. 88

60. გლ. ფ. 565. საბეჭდავი-ინტალიო, ქვიშაქვა, მოწითალო ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი წესიერად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ორი ფრთოსანი არსება, პროფილში მარჯვნივ მიმავალი. ყოველ მათგანს გრძელი ნისკარტი აქვს, საკმაოდ დიდი ფრთები, დიდი, გაშლილი ბოლო. მაღალფეხებიანია. საბეჭდავს თავსა და ბოლოში გარს უვლის თითო ღარი (ილ. 89). ზომები: სიგრძე=26 mm, დმ=10 mm, ნახვრეტის დმ=2 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ილ. 89

61. გლ. ფ. 566. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მუქი ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავს ერთი მომრგვალებული წახნაგი აქვს. გამოსახულება საკმაოდ ბუნდოვნად ჩანს. პირზე გამოსახულია ოთხფეხა ცხოველი, პროფილში მარცხნივ. ცხოველის ზემოთ, ზურგის გასწვრივ, ორი გაურკვეველი გამოსახულებაა ამოჭრილი. ცხოველის წინ გველია გამოსახული, ზურგს უკან – თავდაყირა მდგომი ადამიანი, რომელსაც საკმაოდ განიერი ღარი უვლის გარს (ილ. 90). ზომები: სიგრძე=35 mm, დმ=10 mm, ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

ილ. 90

62. გლ. ფ. 567. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მუქი ნაცრისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი წესიერად არის გათლილი. გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია ორი ფრთოსანი ცხოველი, პროფილში მარჯვნივ, ერთი მეორის უკან. უკანა ფეხებზე არიან შემდგარნი. ერთერთი ცხოველის ფრთა ძალიან მკრთალად ჩანს, მეორეს გრძელი, თავისკენ ჩახვეული ფრთა აქვს, ჰორიზონტალური ღარებით დასერილი მაღალი კისერი. გრძელკუდიანია. ყოველი ცხოველის წინ პატარა, დატოტვილი მცენარეა გამოსახული (ილ. 91). ზომები: სიგრძე=33 mm, დმ=14 mm, ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ. პირი იმდენად არის გახეხილი, რომ გამოსახულება დაზიანებულია, ადგილ-ადგილ ძალიან მკრთალად ჩანს.

ილ. 91

ილ. 92

63. გლ. ფ. 568. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერისა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი წესიერად არის გათლილი. გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია თაყვანისცემის სცენა. სავარძელზე ზის მეფე? გრძელი, ნაკეცებიანი კაბა აცვია. სახე არ უჩანს. მის წინ ორი ადამიანი დგას, ერთი მეორის უკან, სახეები არ უჩანთ. ხელები ვედრების პოზაში უნდა ჰქონდეთ გამოსახული (ილ. 92). ზომები: სიგრძე=32 mm, დმ=16 mm, ნახვრეტის დმ=7 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია მცირედ.

64. გლ. ფ. 569. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერისა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი წესიერად არის გათლილი. გამოსახულება მკრთალად ჩანს. პირზე გამოსახულია თაყვანისცემის სცენა. სავარძელზე ზის მეფე დაბალი თავსაბურავი ახურავს. გრძელი ნაკეცებიანი კაბა აცვია. მარჯვენა ხელი იდაყვში აქვს მოხრილი. მეფის წინ ორი ქალი დგას, პროფილში ერთი მეორის უკან. ხელიხელჩაკიდებულები არიან. გრძელი, ნაოჭიანი და უსახელო კაბები აცვიათ. მეფესა და ქალებს შორის მნათობის სიმბოლოა გამოსახული (ილ. 93, 94, 95). ზომები: სიგრძე=26 mm, დმ=12 mm, ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი საკმაოდ კარგადაა შენახული.

ილ. 93

ილ. 94

ილ. 95

65. გლ. ფ. 570. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, მომწვანო ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს; მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. საბეჭდავი კარგად არის გათლილი. პირზე საკმაოდ სქემატურად გამოსახულია წარდგომის სცენა. სკამზე ზის ღვთაება შამაში? გრძელი ტანსაცმელი აცვია, ხელში სატევარი უჭირავს წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში. მის წინ მდგომმა ღმერთმა (ღვთაებამ) თაყვანისმცემელი წარუდგინა. ღვთაება და თაყვანისმცემელი ხელიხელჩაკიდებულები არიან (ილ. 96, 97, 98). ზომები: სიგრძე=25 mm, დმ=14 mm, ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი გაბზარულია; ადგილ-ადგილ ატკეცილია ძალიან მცირედ.

ილ. 96

ილ. 97

ილ. 98

66. გლ. ფ. 571. საბეჭდავი-ინტალიო, მარმარილო, ვარდისფერი. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. საბეჭდავის პირზე ძალზე სქემატურად გამოსახულია ღვთაება, რომელიც ოთხკუთხა სკამზე ზის, თავს მაღალი თავსაბურავი უმკობს. სახე არ უჩანს; ხელები ვედრების პოზაში აქვს გამოსახული. გრძელი ნაკეცებიანი კაბა

ილ. 99

ილ. 100

აცვია. ღვთაების წინ სამი მეორეხარისხოვანი ღვთაება დგას. ამათაც მაღალი თავსაბურავები ხურავთ, ხელები ვედრების პოზაში აქვთ გამოსახული. გრძელი, ნაკეციანი კაბები აცვიათ. ღვთაებებს შორის თევზებია ამოჭრილი (ილ. 99, 100). ზომები: სიგრძე=24 mm; დმ=9 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია, ძალიან მცირედ.

67. გლ. ფ. 572. საბეჭდავი-ინტალიო, ნიჟარა, მოყვითალო ფერისა. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ღვთაება, რომელიც ოთხკუთხა სკამზე ზის. ღვთაებას თავს რქებიანი თავსაბურავი უმკობს; დიდი ცხვირი და თვალი აქვს. სახის ქვედა ნაწილი ბუნდოვნად ჩანს. გრძელი, ნაკეცებიანი კაბა აცვია. ღვთაების ფეხთით საკმაოდ მაღალი, ბადიასმაგვარი ჭურჭელი დგას, რომლიდანაც ორი გველი ამოდის. ღვთაებას ერთი მათგანისათვის მარჯვენა ხელი წაუვლია. მის წინ ორი ღვთაება დგას; თმები აწეული აქვთ. ერთ მათგანს რქიანი თავსაბურავი ხურავს, ნაკეცებიანი კაბა აცვია; ხელები წინ აქვს გაწვდილი. მეორე ღვთაებას მარჯვენა ხელში რქოსანი ცხოველი უჭირავს, მარცხენა კი იდაყვში მოხრილი და ზეაპყრობილი აქვს. მთავარი ღვთაების ზურგს უკან გამოსახულია ხე და რვაქიმიანი ვარსკვლავი. ნიადაგის ზოლი წყვეტილი ხაზითაა მოცემული (ილ. 101, 102, 103, 104). ზომები: სიგრძე=32 mm; დმ=19 mm; ნახვრეტის დმ=6 mm. საბეჭდავი რამდენიმე ადგილას გაბზარულია, ნახვრეტთან ამოტეხილია, ზოგან ანატკეცები აქვს, ძალიან მცირე.

ილ. 101

ილ. 102

ილ. 103

ილ. 104

68. გლ. ფ. 573. საბეჭდავი-ინტალიო, ტალკის ქვა, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია გველი, რომელსაც ადამიანის თავი აქვს. გველის სხეული ღარებითაა დასერილი. ქვეწარმავლის წინ სამი უწვერო ადამიანი დგას. სამივე დოინჯშემოყრილია, გრძელი კაბები აცვიათ; გულ-მკერდი ჰორიზონტალური ღარებითა აქვთ დასერილი. საბეჭდავზე ორი მნათობია გამოსახული – ერთი გველის თავის გასწვრივ, ხოლო მეორე ადამიანთა შორის (ილ. 105, 106, 107). ზომები: სიგრძე=25 mm; დმ=12 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი რამდენიმე ადგილას გაბზარულია, ზოგან ატკეცილია მცირედ.

ილ. 105

ილ. 106

ილ. 107

69. გლ. ფ. 574. საბეჭდავი-ინტალიო, ჰემატიტი, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ხუთი ადამიანი, დგანან, ზოგი თავფეხშექცეულია (სამი ერთად დგას, ორიც ერთად). გრძელი კაბები აცვიათ. ორს სატევარის მსგავსი იარაღი უჭირავს. ხელიხელჩაკიდებულები არიან. ერთ მათგანს ხელში ბურთისებრი საგანი აქვს. ცილინდრს თავსა და ბოლოში გარს უვლის ვიწრო ღარი (ილ. 108). ზომები: სიგრძე=30 mm; დმ=15 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. საბეჭდავი ზოგან ატკეცილია მცირედ.

ილ. 108

70. გლ. ფ. 575. საბეჭდავი-ინტალიო, ლითოგრაფიული ქვა, მომწვანო ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. პირზე გამოსახულია ორი ენქიდუ, ერთმანეთის გვერდით; თავი თავთან აქვთ მიდებული. გამო-

სახულია აგრეთვე ორი გილგამეში? ყოველი ამათგანი ლომს ებრძვის. გილგამეშს სახე არ უჩანს (არც ერთს). ლომები უკანა ფეხებზე დგანან. გილგამეშებს შორის რომელიღაც რქოსანი ცხოველია ამოჭრილი (ილ. 109). ზომები: სიგრძე=25 mm; დმ=15 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ზოგან ატკეცილია.

ილ. 109

71. გლ. ფ. 576. საბეჭდავი-ინტალიო, გველა, შავი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ცილინდრი დიდი ზომისაა. გამოსახულება ბუნდოვნად ჩანს, რადგან პირი დაზიანებულია. გამოსახულია გილგამეშისა და ენქიდუს ბრძოლა. სიუჟეტი სამჯერ მეორდება. გილგამეშსა და ენქიდუს თავები არ უჩანთ. სხეული ზოგან კარგად ჩანს, ზოგან ბუნდოვანია (ილ. 110, 111). ზომები: სიგრძე=40 mm; დმ=25 mm; ნახვრეტის დმ=8 mm. საბეჭდავი იმდენად არის გაცვეთილი, რომ გამოსახულება დაზიანებულია – ადგილ-ადგილ აღარ ჩანს დეტალები. ზოგან საბეჭდავი ატკეცილია მცირედ.

ილ. 110

ილ. 111

72. გლ. ფ. 577. საბეჭდავი-ინტალიო, ქალცედონი, ყვითელი ფერის. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვას საკმაოდ უწესო ფორმა აქვს. პირზე გამოსახულია სამსხვერპლო, რომელზედაც შუბია ამართული. სამსხვერპლოს წინ სამი გრძელკაბიანი მამაკაცი დგას, პროფილში, ერთმანეთის უკან; წინ მდგომ ორს ხელები ვედრების პოზაში აქვთ გამოსახული (ილ. 112). ზომები: სიგრძე=26 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=3 mm. საბეჭდავი ზოგან ატკეცილია, ორგან ამოტეხილი.

ილ. 111

73. გლ. ფ. 578. საბეჭდავი-ინტალიო, ქალცედონი, ნაცრისფერი, ადგილ-ადგილ მოყავისფრო. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. გამოსახულება საკმაოდ მკრთალად ჩანს. პირზე გამოხატულია ორი ერთმანეთის პირდაპირ მდგომი მამაკაცი, პროფილში. სახეები არ უჩანთ. ერთ მათგანს მაღალი, ნაკეცებიანი თავსაბურავი აქვს. გრძელი კაბები აცვიათ, ფეხები არ უჩანთ. ადამიანებს შორის სამკაპა სარია აღმართული. გამოსახულების მოპირდაპირე მხარეს წარწერაა? ამოკვეთილი (ილ. 113). ზომები: სიგრძე=24 mm; დმ=13 mm; ნახვრეტის დმ=5 mm. ცილინდრს 1/3 ჩამოტეხილი აქვს, აკლია. ადგილ-ადგილ საბეჭდავი ატკეცილია და გაბზარული, გამოსახულება დაზიანებულია – ადამიანებს ფეხები არ უჩანთ.

ილ. 113

74. გლ. ფ. 579. საბეჭდავი-ინტალიო, იასპი, მუქი წითელი ფერის, თეთრი ლაქებით. საბეჭდავი ცილინდრს წარმოადგენს. მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონრისათვის. ქვა კარგად არის გათლილი. გამოსახულება საკმაოდ მკრთალად ჩანს. ცენტრში გამოსახულია ფრთოსანი არსება, რომელიც პატარ-პატარა სფეროებზე დგას. არსებას თავი არ უჩანს, იდაყვში მოხრილი ხელები გაშლილი აქვს. ფრთაგაშლილია. არსების მარჯვნივ და მარცხნივ ფრთოსანი ლომები უდგას, სახეები ადამიანისა უნდა ჰქონდეთ. თავები უკან აქვთ გადაწეული. ერთერთი ლომის უკანა ფეხებთან ორი ფრთამოკეცილი ფრინველი ზის. ფრინველების თავების გასწვრივ, ზემოთ გამოსახულია რომელიღაც ოთხფეხა ცხოველი და მის გვერდით ლომი. ნიადაგის ზოლი პატარ-პატარა სფეროებისგან არის შედგენილი (ილ. 114). ზომები: სიგრძე=30 mm; დმ=12 mm; ნახვრეტის დმ=4 mm. საბეჭდავი ზოგან ატკეცილია.

ილ. 114

ცილინდრული საბეჭდავები საქართველოში მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არის აღმოჩენილია, ყველა მათგანი იმპორტს წარმოადგენს. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ადრეული გლიპტიკური ნაკეთობები გაცილებით გვიანდელ სამარხებშია აღმოჩენილი. როგორც ო. ნეველოვი აღნიშნავს, სამარხებში გლიპტიკური ნაწარმი თითქმის ყოველთვის კომპლექსის სხვა ნივთებზე ძველია [Неверов О. 1983: 45], რაც განპირობებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გლიპტიკური ძეგლების ყოფაცხოვრებაში დიდხანს არსებობით და რასაც ხელსუწყობდა მასალა – მყარი, მკვრივი და გამძლე მინერალები [ჯავახიშვილი ქ. 2003: 83].

სამთავროს სამაროვნის გვიანრომაული ხანის (ახ. წ. III ს.) № 905 მდიდრულ აკლდამაში სხვა მრავალრიცხოვან და პირველხარისხოვან ნივთებს შორის, მიცვალებულის მკერდის არეში აღმოჩნდა ჰემატიტის მომცრო საბეჭდავი-ცილინდრი, რომელსაც აქვს სიგრძივი ნახვრეტი ზონრისთვის (ეროვნულიმუზეუმი, გლ. ფ. 1580; ზომები: სიგრძე = 18 mm, ნახვრეტის დმ = 10 mm). საბეჭდავის პირი წვრილი, ამოღარული ხაზებით სიგრძეზე დაყოფილია ხუთ რეგისტრად, თითოეულში ამოკვეთილია სხვადასხვა გამოსახულება: ადამიანის მდგომარე ფიგურა, ადამიანის გაშლილი ხელის მტევნები, მუხლჩახრილი ადამიანი და მის ქვეშ ცხოველი, ცხოველებისა და ფრინველების მწკრივები (ილ. 115, 116, 117).

ილ. 115

ილ. 116

ილ. 117

ცილინდრული საბეჭდავების გაჩენა როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. IV-III ათასწლეულში მჭიდროდ უკავშირდება მესოპოტამიურ გლიპტიკას. მაშინ, როცა გაჩნდა კერძო საკუთრება, წარმოიშვა აუცილებლობა მასზე უფლების დამტკიცებისა, რისთვისაც იყენებდნენ ნახევრადძვირფასი ქვებისგან დამზადებულ მომცრო ცილინდრულ საბეჭდავებს, რომლებზეც ამოჭრილი იყო რელიგიურ-მითოლოგიური ან ყოფითი სცენები. ცილინდრული საბეჭდავები თანდათან პოპულარული გახდა მთელს მახლობელ

აღმოსავლეთში და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, თვით აქემენიდური პერიოდის ჩათვლით, იარსება. თითოეული ეპოქისთვის დამახასიათებელი იყო საკუთარი გამომსახველობითი სტილი, მასალა და პოპულარული სიუჟეტების წრე. ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში – შუახანებამდე ცილინდრული საბეჭდავები უპირატესად მზადდებოდა მოშავო-ფოლადისფერი, გაუმჭვირვალე და საკმაოდ მკვრივი ჰემატიტისგან, მსგავსად სამთავრული ცილინდრისა. როგორც კომპოზიციურად, ასევე სტილურად და იკონოგრაფიულად სამთავრულ ცილინდრზე ასახული სიუჟეტის სირიულ საბეჭდავ-ცილინდრებზე ამოჭრილი კომპოზიციების მსგავსია, რის საფუძველზეც სამთავრული ცილინდრი მიჩნეულია სირიულ ნაწარმად და დათარიღებულია ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით [Apakidze A., Nikolaishvili V. 1994: 46-50, № 52, სურ. 33]. თუ როდის ან ვის მიერ იქნა შემოტანილი მცხეთაში სირიული ცილინდრი, ცნობილი არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი თავის დროზე უფლებრივი საბეჭდავი უნდა ყოფილიყო, რაზედაც გაშლილი ხელის მტევანი – საკუთრებაზე უფლების სიმბოლო უნდა მიგვითითებდეს. გვიანრომაულ ხანაში იგი მეორადი გამოყენებისაა, მკერდის არეში აღმოჩენა კი გვავარაუდებინებს, რომ მას ავგაროზის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. საქართველოში ცილინდრული საბეჭდავები აღმოჩენილია აგრეთვე თრიალეთში - საფარ-ხარაბას სამაროვანზე – 7 ცალი, მათ შორის სიუჟეტებით შემკულია 2 ცალი – №№ 5 და 27 სამარხებიდან. მათ ზედაპირზე ამოკვეთილ სიუჟეტთა იკონოგრაფია მსგავსია ხური-მითანური საბეჭდავების იკონოგრაფიისა, გამოსახულებაც ხეთურ მითოლოგიასთან არის დაკავშირებული. ამდენად, ორივე საბეჭდავი მითანური გლიპტიკის წრეში ექცევადა ე. წ. „Common Style“ -ს მიეკუთვნება, დათარიღებულია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით. საბეჭდავები იმპორტულია, რაც საფარ-ხარაბაზე მაცხოვრებელი საზოგადოების ხური-მითანის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს [ნარიმანიშვილი გ. 2006: 95, 101. ტაბ. XVIII/ 1,2,3,4].

ასევე საინტერესოა კახეთში. სოფ. შრომაში შემთხვევით აღმოჩენილი ძვ. წ. XV-XIV საუკუნეების, ცისფერი ფაიანსის მითანური-კერკუკული საბეჭდავი-ცილინდრი (ილ. 118, 119, 120), რომელზეც ზედა რეგისტრში წარმოდგენილია ადამიანის და უკანა ფეხებზე მდგომ ცხოველთა გამოსახულებები, ქვედა რეგისტრში კი - სხვადასხვა ცხოველი (საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმი, გლ. ფ. 1178; ზომები: სიმაღლე = 27 mm, დმ = 8 mm).

ილ. 118

ილ. 118

ილ. 120

ძვ. წ. IV ათასწლეულით დათარიღებული შუამდინარული ცილინდრული საბეჭდავები, მეორადი გამოყენებით, აღმოჩენილია გრაკლიანის გორაზეც, ძვ. წ. II-I ათასწლეულით დათარიღებულ კომპლექსებში [სამსონია ნ. 2016 ა: 278]. როგორც ქ. ჯავახიშვილი გადმოგვცემს „ძვ. წ. II ათასწლეულში სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა მითანის სამეფოსთან [მელიქიშვილი გ. 1995: 165]. საქართველოში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები (ცილინდრული საბეჭდავები) ამის ნათელი დადასტურებაა“ [ჯავახიშვილი ქ. 2015: 6].

„ირანული კოლექციის“ საბეჭდავთა სტილური და კომპოზიციური კვლევის წინასწარული შედეგებით (ვითვალისწინებთ მასალასაც), ვვარაუდობთ, რომ „ირანულ კოლექციაში“ გაერთიანებული ცილინდრული საბეჭდავების საგრძნობი უმრავლესობა აქემენიდური და პოსტაქემენიდური ხანისა უნდა იყოს, გვხვდება ბერძნულ-სპარსული სტილით შესრულებული ცალებიც. მხოლოდ ცილინდრითა უმცირესობა შესაძლოა განეკუთვნებოდეს უფრო ადრეულ ხანას. ეს მონაცემები უფრო დაზუსტდება კატალოგის მეორე და მესამე ნაწილში, რისი გამოქვეყნებაც მომავალში გვაქვს განზრახული.

ამრიგად, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა 74 ახალი საბეჭდავი-ცილინდრი, რომელიც ძალზე საინტერესო იქნება როგორც აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურის მკვლევარებისთვის, ისე გლიპტიკოსებისა და სფრაგისტიკოსებისთვის. კატალოგის პირველი ნაწილი დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრესაც.

ლიტერატურა

ნარიმანიშვილი გ. 2006 : საფარ-ხარაბას სამაროვანი – ძიებანი, 17-18, გვ. 93-106. თბილისი.

სამსონია ნ. 2008 : შუამდინარული გლიპტიკა. თბილისი.

სამსონია ნ. 2016 : მითანური გლიპტიკა. თბილისი.

სამსონია ნ. 2016ა : იგოეთის (გრაკლიანი გორა) შუამდინარული საბეჭდავების შესახებ. თბილისი.

ჯავახიშვილი ქ. 2003 : ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალების მიხედვით) – ძიებანი, № 12. გვ. 75-88. თბილისი.

ჯავახიშვილი ქ. 2015 : საქართველოს გლიპტიკური ძეგლები. იბერია-კოლხეთი, № 11, გვ. 5-36. თბილისი.

Дьяконов И.М. 1983 : История Древнего Востока. Москва.

Меликишвили Г.А. 1959 : К историии древней Грузии. Тбилиси.

Неверов О.1983 : Геммы Античного Мира. Москва.

Apakidze A., Nikolaishvili V. 1994 : An Aristocratic Tomb of the Roman Period from Mtskheta Georgia – The Antiquaeies Journal, vol LXXIV, pp. 16-54.

Klengel-Brandt E. 1997 : Mit Sieben Siegeln Versehen.Das Siegel in Wirtschaft und Kunst des Alten Orients. Mainz.

Wiseman D.J. 1958 : Gotter und Menschen im Rollsiegel Westasiens. Prague.

Ketevan R. Ramishvili, Helen Giunashvili

Cylindrical Seals from the "Iranian Collection"
(According to the Glyptic Material of the S. Janashia State Museum of Georgia)

Summary

The work deals with 74 samples of cylindrical seals from the "Iranian Collection" preserved at the Glyptic Fund of the S. Janashia State Museum. Our study is the first part of the catalogue, and for the present, we offered a description of the seals, we identified the material, we gave exact dimensions, and we determined their safety and state, adding appropriate photos.

For the future, in the second part of the catalogue, we will discuss the cultural characteristics of these seals and determine their date; in the third part, we will discuss the religious and symbolic meaning of the subjects engraved on the seals' surface.

In the work, we brought as parallel material the cylindrical seals found in Georgia, and with the preliminary results of the research, we assumed that the significant majority of the cylindrical seals from the "Iranian collection" must be of the Achaemenid and post-Achaemenid periods; there are also some samples made in the Greco-Persian style. Only a minority of cylinders may be attributed to an earlier age.

These data will be further clarified in the second and third parts of the catalogue, which we intend to publish in the nearest future.

Thus, 74 new cylindrical seals were introduced for the scientific world, which will be very important both for the cultural studies of the Ancient Eastern region as well as for sigillographic research. The first part of the catalogue will also interest a wide circle of readers.